# ივერია

გაზეთი ღირს

| თუე | მან. კ. | თუე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახ. ლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**ხელის-მომწერთა საყურადღებოდ:**

ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი შემოუტანია, პირველ მაისიდამ მოესპოთ გაზეთი. ნისიად გაზეთი არავის ეგზავნება, რადგან რედაქციას ერთხელ და ერთხელვე წესად არა აქვს დადებული. წლიურნი ხელის-მომწერელნი, რომელთაც მარტო ხუთი მანათი შემოუტანიათ, თუ ინებებენ და ხუთს მანათს კიდევ შემოიტანენ, წლის დამლევამდე გაეგზავნებათ გაზეთი. რედაქცია კერძო წერილით პასუხს ვერ მისცემს გაზეთის მოსპობის შესახებ, თუ ფულის გამოუგზავნელობის გამო არის მოსპობილი გაზეთი.

ტფილისი, 21 მაისი

დღევანდელს ევროპას რომ კაცი დაუკვირდეს, ეგონება, რომ იგი საომარის გუდა-ნაბადით აკიდებულია და მარტო ბძანებას-ღა ელის, რომ ბუკი და ნაღარა დაჰკრას და ბანაკიდამ საომარს მოედანზედ გავიდეს. ყველანი მზად არიან და თუ არიან ვინმე მოუმზადებელნი, ისინიც ჰჩქარობენ მალე მომზადდნენ და ამ მზადებისათვის არასფერს არა ჰზოგვენ. რა არის ამისთანა აუტანელის ამბავის მიზეზი? დიდი და პატარა რად იდგამს წელებზედ ფეხსა და თავის მონაგარს, თავის ნაწვავ-ნადაგს რაზედ აფუჭებს ჯარების გაძლიერებისათვის? რა ისეთი შიშია მოსალოდნელი?

ამაების საპასუხოდ დიდი გამოძიება არ დასჭირდება ადამიანსა. საქმე ის არის, რომ სასწორი ევროპის თანასწორობისა შეტოკებულია და ეს ტოკვაა იგი ლანდი ძლიერის განსაცდელისა, რომლის შიშითაც მთელი ევროპა დღეს ალურსულია. რომ ეს სასწორი დიდი ხანია დაიძრა, ამას ყველანი ჰგრძნობდნენ წინადაც. 1870 წელს აქედ ეს სასწორი გადიხარა გერმანიისაკენ და ამ სახელმწიფოს ძლიერების შიში და ზარი იმოდენა იყო ამ უკანასკნელ წლებამდე, რომ ხმა ვეღარავის ამოეღო, თუმცა თვითვეული ცალკე ჰგრძნობდა სიმძიმეს ახალის გარემოებისას, რომელმანც გერმანია გააბატონა. მარტო ამ უკანასკნელ წლებში ამ სასწორმა ხელ-ახლად ტოკვა დაიწყო და დაიწყო მას შემდეგ, როცა გერმანიისაგან დამარცხებულმა საფრანგეთმა ღონე ხელახლად მოიცა, გაძლიერდა და გათამამებულს გერმანიას თვალი გაუსწორა. რაკი სხვა სახელმწიფოებმა შეჰნიშნეს ესა, იმათაც გული მოეცათ და იფიქრეს, — იქნება ასე არა ჰწ[illegible]ს გერმანია, როგორც ჰქუხსო და ამათაც ცოტად თუ ბევრად ხმა აიმაღლეს, და აქამდე გაუბედავი შეჰბედეს გერმანიასა. მართალია, ამათი ამაღლებული ხმა ერთიანი მწყობრი ხმა არ იყო და არც არის დღეს და თუ ისმოდა სადმე, ცალ-ცალკედ ისმოდა, მაგრამ მაინც იმოდენად შესანიშნავი შეიქმნა, რომ გერმანიის დიპლომატები ჩააფიქრა.

შორმხედველს თ. ბისმარკს ვერაფრად ეჭაშნკა ესეთი გათამამება მათი, რადგანაც ჩვეული იყო, რომ თვითვეული მათგანი მე უნდა მიყურებდეს წარბებშიო და ჩემი უნებური ვერაფერი ვერ უნდა გაბედოს-რაო. თ ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ პატარა თესლი დიდ უშველებელ ხედ გადიქცევა ხოლმე და ეს ჯერ თითქო გაუბედავი სითამამე თვითვეულის სახელმწიფოსი შესაძლოა ერთ შეერთებულ ძალად გარდიქმნეს და გერმანიას ცოტად თუ ბევრად სადავე მაგრა აუკრიბოს. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, თ. ბისმარკმა ჯერ ეგრედ წოდებული „სამთა იმპერიათა კავშირი“ მოახერხა და ამ შეერთებულის ძალით მთელი ევროპა კიდევ ხელთ იგდო. შეუტყეს მანქანება. აშკარად დაინახეს მოზავეთა რომ გერმანია ამ სამთა კავშირში მოკავშირეთა კარგა-მყოფობას კი არ დაეძებს, არამედ თავის საკუთარს ინტერესსა, სახელდობრ, იმას, რომ თავის პირველობას და ბატონობას ევროპაში მაგარი ბურჯი შეუყენოს ქვეშ და თვით ამ სიმაგრ[illegible]. შე[illegible] ამას გამო ეს სამთა ძლიერი კავშირი. ერთი მოკავშირეთაგანი ავსტრიაა. ამან პირველ ხანებში ჯერ ტოკვა ვერ გაჰბედა და მაინც ამ ბოლოს ხანებამდე ყურ-მოჭრილ მონასავით თანასდევდა გერმანიასა.

თ. ბისმარკმა ყურები აცქვიტა. დასავლეთით დაუძინებელი მტერი მყავსო და თუ აღმოსავლეთითაც რუსეთი ჩემზედ გულს აიყრისო, ადვილად მოსალოდნელია, დასავლეთიდამ საფრანგეთმა და აღმოსავლეთიდამ რუსეთმა ერთმანეთს ხელი მიაწვდინოს და მე შუაში მომამწყვდიოსო. ამისათვის თ. ბისმარკმა ყველაზედ უწინარეს ინგლისს გადახედა და მოიწვია, გერმანიამ, ავსტრიამ და ინგლისმა ერთმანეთს მხარი გადავაბათო. ინგლისმა შორს დაიჭირა, მეო ვერაფერს პირობას ვერ დაგიდებთო და მსურსო ყოველ შემთხვევისათვის თავისუფალი ვიყოვო, რადგანაც ეს თავისუფლება ნებას მომცემს როცა დროა, ისე მოვიქცე, როგორც ჩემი საკუთარი სარგებლობა ჩამაგონებსო.

სხვა გზა არ იყო, თ. ბისმარკს სხვა მომხრე უნდა ეძებნა. ამისთანა მომხრე მარტო იტალია თუ შეიქნებოდა. იტალია დაჰყვა ბისმარკსა, მაგრამ იტალიის მინისტრმა რობილანმა სწორედ ამაზედ წამოჰკრა ფეხი და იძულებულ შეიქმნა სამსახურიდამ გადამდგარიყო. რაკი დღეს იტალიის სამინისტროში კრისპი არის და ეს კრისპი ცნობილია საფრანგეთის მომხრედ, ამიტომაც აქაც ამ ბოლოს ხანებში გერმანიას იმედები გაუცუდდა. რაღა დარჩა საცდელად გერმანიას? რაკი გერმანიამ მომხრე ვეღარ იშოვა, განიზრახა, თუ მოკეთე მე ჩემთვის ვერ ვიშოვე, ჩემს მტერს მაინც მტრებს ავუჩენო და დაუწყო საფრანგეთს შარების მოდება, ათას ნაირი აურზაური და ცილისწამება. დღეს რომ ევროპა ასე შეწუხებულია დიდის ომის მოლოდინითა, ამისი ბრალი საფრანგეთიაო, იძახოდნენ გერმანიის გაზეთები, თ. ბისმარკის მიერ რიგიანად შთაგონებულნი. ხომ ვერც ამან გასჭრა. მერე თ. ბისმარკმა ეს რაღაც შნებელეს ამბავი გამოატყვრინა, იქნება ამ ამბავმა თავ-მომწონე საფრანგეთი წააცდინოს და ომის მიზეზი შეიქმნეს და მაშინ ხომ მთელი ევროპა გულს აიმღვრევს საფრანგეთზედ და ამით გერმანია თავის საქმეს წინ წააყენებსო. მთელმა ევროპამ საერთოდ და საფრანგეთმაც ცალკედ შეუტყორა ხათაბალს უგებდა თ. ბისმარკი საფრანგეთსა, რომელმაც თავი დაიჭირა და ბისმარკი იძულებულ შეიქმნა შნებელეს საქმე ისე გაეთავებინა, რომ არ შეებღალა სამართლიანი თავ-მოწონება საფრანგეთის ერისა.

რაკი აქედ-იქით თ. ბისმარკი ვერას გახდა, ისევ ძველს ხერხს მოჰკიდა ხელი: მოუბრუნდა რუსეთს. რუსეთი, როგორც მოგეხსენებათ, გულ-ნაკლული იყო თ. ბისმარკისა, რადგანაც ბერლინის კონგრესზედ მხარი არ მისცა რუსეთსა და მადლი ამ სახით გადუხადა რუსეთს იმ შემწეობისათვის, რაც რუსეთმა შესძინა გერმანიას საფრანგეთთან ომის დროს. რამოდენადაც ხანი გადიოდა, ეს გულ-ნაკლულობა რუსეთისა ჰმატულობდა და ბოლოს ბოლგარიის საქმეთა გამო იქამდე გაძლიერდა, რომ მთელი რუსეთი გამწვავებულად ამაზედ ჰლაპარაკობდა. თ. ბისმარკმა სცნა, რომ რუსეთის გულის მოგება საჭიროა, რაკი ვერსად ვე-

# ფელეტონი

## ედიშერ ქველბაქიანი

მოთხრობა

(შემდეგი*)

### XIII

კენჭის ყრა გათავდა; მაგრამ სოფლიდან ჩამოსული თავად-აზნაურობა, რომელნიც გამარჯვებულს პარტიას ეკუთვნოდენ, ჯერ კიდევ არ იჩქაროდენ თავიანთ სახლობით ქუთაისიდან აბარგებას. იმათ ჯერ არ მოსწყენოდათ ეტლებით რიხინი ქუთაისის მტვერიანს ქუჩებში; ნამეტნავად სასიამოვნოდ მიაჩნდათ საღამოობით ფერმისკენ გასეირნება.

ფერმის ბაღს იგივე ალაგი უჭირავს ქუთაისში, რაც ტფილისში მუშტაიდსა. ეს არის საუკეთესო საზაფხულო დროს გასატარებელი, რომელსაც შხუილით ჩაუვლის მღვრიე რიონი. აქ მრავალი უზარ-მაზარი ხეები, ბუჩქები და სასიამოვნო საჩრდილობელნი არიან. ზოგან ისეთი მიმალული ალაგებია, რომ კაცის თვალი ვერ შეატანს. ეს არის საგულ-და-გულო დროს გასატარებელი ბინა მოარშიყეთათვის.

ის იყო, მზე ჩადიოდა, მაისის აუტანელს სიცხესაც ლოჯი მოსტეხოდა. ამ დროს აქ ერთს ბეგზე მოგროვილიყვნენ კარგი ნაცნობები, ქალები და ვაჟები, ჩაის სასმელად. მოსეირნენი ხის სკამებზე ჩამოსხდენ და გაჰყურებდენ რიონსა. ამის ცელქი ტალღები თეთრ თიკნებსავით ხტოდენ კლდიდან კლდეზე; მათი ურიცხვი შხეფები მარგალიტებად იბნეოდენ კლდის ნაპრალებში. მოჰბერა მშვენიერმა გრილმა სიომ, თითქოს ეს ცივი ნიავი რიონს თან წამოეტანოს რაჭის მთებიდან. მოსეირნეებს სახეზე წამოცვარული ოფლი უცბად შეაშრათ; იმათ იგრძნეს სიგრილე.

— შვენიერი საღამოა, — თქვა ერთმა ქალმა — ვინც აქ ხშირად დადის, მის გულს მწუხარების ხავსი არ უნდა მოეკიდოს.

— ჩაი მოგვიტანეთ, და!... — შესძახა კარნეტმა, რომელიც ქალებს მასპინძლობდა; მერე მოიხედა უკან და სიამოვნებით უთხრა ლაქიას: — ოჰ, აგაშენა ღმერთმა! შენ აქა ხარ კიდეც ყოვლის ფრით დატვირთული.

ერთს წუთას აივსო ხის ტაბაკი ჩაით სავსე სტაქნებითა, შაქრით, დაჭრილი ლიმონებით, სუხრებით, ლიმონადით და სხვა გასაგრილებელი სასმელებით.

— თქვენმა მზემ, ამისთანა მასპინძელი, მგონია, ვარდენ ვაჩეშვილიც არ იქნებოდა კენჭის ყრის წინა ღამეს, როცა იმან ორასი მეკენჭე, თურმე, ხატზე დააფიცა, არ გვიმტყუნოთო, — წამოიძახა ერთმა განათლებულმა „ბარიშნამ“.

— ვარდენის არ გამიგონია და მოწინააღმდეგე კანდიდატმა ასი თუმანი რომ შეაძლია იმას წინაღამეს — ამას ყველანი ლაპარაკობენ, — უპასუხა „ბარიშნას“ ერთმა მეგრელმა მანდილოსანმა.

— თუ მართალს ვიტყვით, არც ერთი არ აკლებდა ხელს. მეკენჭეებმა ძალიან დრო გაატარეს. თურმე ასე იძახდენ: „მოგეცათ სიცოცხლე, ჩვენ ზუთხების გემო ენახეთო!“ — სიცილით თქვა „ბარიშნამ“.

— მოუტყუებიხართ, მაგას არავინ არ იტყოდა. ჩვენში ვინ იქნება იმისთანა, რომ ზუთხი არ ეჭამოს?.. რა ამისთანა დაღირსებულები იყვენ, რომ მაგას იტყოდენ, უპასუხა მეგრელმა ქალმა.

— ხმა ერისა, ხმა ღვთისაო, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!... — გადიხარხარა ბარიშნამ.

— რავა უმარილოდ იცინის ეს ქალი! — ტუჩის აბზუებით წაილაპარაკა მეგრელმა ქალმა.

„ბარიშნამ“ შეატყო მეგრელს ქალს, რომ ჯავრობდა და გამოცვალა ლაპარაკი.

— რა ჩემი საქმეა? თქვა იმან. როგორც უნდათ, ისე იმოქმედონ. მე ისინი შემოსავალს არ გამიყოფენ. ხმა არის გავრცელებული და მეც იმიტომ მოგახსენეთ. ამას კი ვიტყვი, რომ ძველი განათლებული კაცები ისე წახდენ, ისე დაეცენ ზნით, რომ გარჩევა აღარ არის იმათსა და ძველს ჩინოვნიკებს შორის. ლაპარაკით პირველნი ქვეყნის გულ-შემატკივარნი არიან; საქმით-კი ყოველს სისაძაგლეს კადრულობენ. არცა რა აქეთ-რა საკუთარი სარგებლობის მეტი მხედველობაში. მე ვიცოდი ერთი ჩვენებური ახალგაზდა. სტუდენტად რომ იყო, კანიკულებზე ჩამოვიდა. რომ გეყურებინათ იმის ლაპარაკისათვის, ასე იტყოდით: თუ ააშენებს ქვეყანას, ეს ააშენებსო. დღეს ეს ვაჟბატონი სახელოვანი ადვოკატია ჩვენს ქალაქში. კარგი სახლ-კარი გაიმართა. უფლოდ ფეხს არ გასდგამს. რომ უთხრა: „აბა, ახლა შენს ამხანაგებს დაეხმარე; უნივერსიტეტში ბევრნი არიან საწყლად; შენ შეგიძლიან წლითი-წლობამდე თვეში ოც-ოც-და-ხუთი მანეთი უგზავნო იმათ“. — მეფილანტროპიისა არა მწამსრაო, — აგიბზუებს ტუჩს და ისე გეტყვის. იმ უსინიდისოს ის კი აღარ ახსოვს, რომ თვითონ მის გასასტუმრებლად უნივერსიტეტში ლატარიით შეუგროვეს ფულები. „თუ არ შეეძლოთ უნივერსიტეტში კურსის შესრულება, რათ მიდიოდენო“. იმავე დროს ხედავ, რომ იგივე ვაჟბატონი კლუბში ერთს ღამეს ოც-და-ხუთ მანეთს-კი არა ას მანეთსაც აგებს ქაღალდში.

— მოგეცა სიცოცხლე, იმ ღამეს ედიშერმა ამისთანა კაცებს მათრახები მიარტყა ვარდენ ვაჩეშვილისას! — დაამატა ერთმა კოფ-თავესაკრიანმა ქალმა.

— როგორ, რაო?.. რა ილაპარაკა? — ცნობის-მოყვარეობით გამოჰკითხა განათლებულმა „ბარიშნამ“.

— ვინ მოსთვლის, გენაცვალე, რაც იმან იქ ილაპარაკა: — თქვენ ასეთებო, თქვენ ისეთებო, განათლება მიგიღიათ და ჭკუის სწავლების მაგიერად, საზოგადოებას რყვნითო.

— მაგისთანა ლაპარაკისათვის მე[illegible]რედ ყბებსაც შემოუტიკნიან, [illegible] არა აქვს შენს იორამს! — გაცხარებით დართო მასპინძელმა. იმ ღამეს ისიც იქ

*) იხ. „ივერია“ № 99.

რას გახდა-რა და ამიტომაც დაიწყო რუსეთის წინაშე თავის გამართლება. სამდურავი რუსეთისა იმისაგან უფრო იყო გამოწვეული, რომ ბერლინის კონგრესმა რუსეთის წინაამდეგ ავსტრიას დააჭერინა ბოსნია და ჰერცოგოვინა. თ. ბისმარკმა, თავისის გაზეთების სიტყვით, გამოაცხადა, რომ მე ამაში არავითარი ბრალი არა მაქვსო, თვითონ რუსეთმა ინება ესა და მისმა დიპლომატიამ დაუთმო ეს ქვეყნები ავსტრიასაო

ამ ამბავმა არამც თუ რუსეთის გული მოაგებინა ბისმარკსა, არამედ მისს ერთგულს ავსტრიასაც გული ააყრევინა გერმანიაზედ. როგორ? მაშ გერმანიას ჩემი სიკეთე, როგორც ერთგულის მეგობრისა, ყინულზედ დაუწერია და რაც მე შევიძინე ბერლინის კონგრესით, იმას გერმანია ჰთაკილობს და ხელს იბანსო, იძახდა ავსტრია თავის ჟურნალ-გაზეთების პირითა? თუ ეგრეა, მაშ ეხლა ჩვენ ვიცითო. განა ჩვენ კი ხელს არ დავიბანთ, თუ საფრანგეთმა ხელი წაატანა ელზას-ლოტარენსაო!

აი რა ყოფაშია დღეს გერმანია: ვერსად მისმა ხერხმა ვერ იმუშავა. რაკი ეგრეაო, სთქვა ბისმარკმა: მაშ ისევ ჩემს მტერს საფრანგეთს დავუწყებ ლაპარაკსა და იქნება აქ გავხდე რასმეო, იქნება როგორმე მოვშველდეთ ერთმანეთსაო. დღეს გერმანიის პოლიტიკა ამაზეა მიმართული და, როგორც სჩანს, არც საფრანგეთი უდგება განზედ გერმანიას. გობლეს და ბულანჟეს გადადგომა სამსახურიდამ იმისთანა ნიშნებია, რომელთზედაც თ. ბისმარკს ცოტად თუ ბევრად საბუთი ეძლევა თვისი იმედები დაამყაროს. თქმა არ უნდა—მომხრეობას საფრანგეთისას ძნელად თუ შეიძენს გერმანია, ხოლო ადვილად დასაჯერებელია, რომ დროებითი ნეიტრალობა საფრანგეთისა მოიპოვოს ასე თუ ისე და მით გერმანიამ ზურგი უშიშრად იქონიოს, თუ პირს აღმოსავლეთისაკენ აქმნევინებს გარემოება.

## ახალი ამბავი

⁂ ეს ეს არის დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ მეექვსე ტომი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მასალებისა. ეს ტომი შესდგება ორის ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოთავსებულია შემდეგი გამოკვლევანი: ნუხის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრება, ა. არასხანიანცისა და გორის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, ს. მაჩაბლისა.

მეორე ნაწილში მოთავსებულია გამოკვლევა ნ. აბელოვისა: ეკონომიური ყოფა-ცხოვრება გეოქჩაისა და შემახიის მაზრის სახელმწიფო გლეხთა და გამოკვლევა ა. ხან-ალოვისა: ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ჯევანშირის სახელმწიფო გლეხთა. ეს ტომი შეიცავს სულ 744 კაბადონს.

⁂ მმართველობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა შეუდგა ამ ჟამად არწრუნისეულის თეატრის გადაკეთების პროექტის განხილვას. განზრახვა აქვთ, რომ თეატრი საუკეთესოდ გადაკეთდეს: სცენა გადიდებული იქმნება და ისე მოეწყობა, რომ მოსატრიალებელი იყოს ხან დარბაზისაკენ და ხან ბაღისაკენ, საცა საზაფხულოდ გამართული იქმნება ადგილები მაყურებელთათვის. ლოჟები მოემატება, დარბაზის იატაკი მოძრავი იქმნება: საჭიროების დროს სცენისკენ დაქანებული იატაკი გასწორდება, სცენა და დარბაზი გაერთდება და საბალოდა და სატანცაო სალამოებისათვის მოეწყობა. მუსიკისათვის ადგილი მაღლა ექმნება დატანებული. ერთის სიტყვით, თეატრი ისე მოეწყობა, როგორც მოითხოვს ეხლანდელი საარხიტექტურო და სატეხნიკო ცოდნა.

⁂ ამ მოკლეხანში დანიშნულია არჩევანი კავკასიი სამეურნეო საზოგადოების თავ-მჯდომარის ამხანაგისა, ამ დროსვე იქმნება არჩევანი საზოგადოების მდივნისა. პირველ რიგის კანდიდატებად მდივნის თანამდებობაზე ითვლებიან: ი. ბატაძე, ი. იოსელიანი და ა. არასხანიანცი.

⁂ მკითხველეს ეხსომებათ, რომ მთავრობას უნდოდა შეესყიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზა. მთავრობამ თავისი პირობანი წარუდგინა ამ რკინის გზის აქციონერთა საზოგადოებას. საზოგადოებამ განიხილა ეს პირობანი და არ მიიღო. დღეს, როგორც შევიტყეთ ნამდვილად, მთავრობას განუზრახავს სხვა ახლი პირობანი წარუდგინოს ამიერ-კავკასიის რკინის-გზის აქციონერთა საზოგადოებასა.

⁂ ტფილისის საქალაქო საბჭოში შეტანილ იქმნა პროექტი, რომ ქალაქმა გაიყვანოს რკინის გზა ტფილისიდამ კოჯორამდე.

⁂ წელს მოსკოვის სამეურნეო მაღალ სასწავლებელში, რომელსაც პეტროვის აკადემია ჰქვიან, გაუთავებია სწავლა ხუთს კავკასიელს. ამ ხუთში არც ერთი ქართველი არ ურევია. მათ შორის 4 სომეხია და ერთი რუს-ქართველი. ამ კურს-დასრულებულთაგან ზოგი წასულა რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიაში სამუშაოდ, ზოგი-კი კავკასიაში გადმოვა.

⁂ სიღნაღის მაზრიდამ გვწერენ: სოფ. ბაკურციხეში ამ მოკლეს ხანში გავრცელდა ყმაწვილების ავადმყოფობა. ეს ის სატკივარია, რომელმაც შარშანწინა და შარშანაც მრავალი ბედშავი ყმაწვილი იმსხვერპლა უპატრონობის გამო. სამწუხაროდ ამ ჟამადაც უწინდელი დღე დაგვადგება, რადგანაც სოფლურის, შინაურულის წამლობით ვერაფერს შემწეობას აძლევენ ამ გვარს სატკივარს და ნასწავლ ექიმებზედ-კი ძალიან უკაცრავად გახლავართ. ეს სატკივარი აი რა გვარად მოქმედობს ყმაწვილებზედ: ჯერ სულ პირველში სიცხეს აძლევს, შემდეგ მადას სრულიად უკარგავს და აწყებინებს ზიდილს. გულის-რევა მიასუსტებს ხოლმე უსმელ-უჭმელ ყმაწვილს და ბოლოს საუკუნოდ ასალმებს წუთი-სოფელს. ამ გვარი სატკივარი, თუმცა დიდროვანებშიაც არ არის იშვიათი, მაგრამ წვრილ ყმაწვილებზედ უფრო საუბედუროდ მოქმედობს ხოლმეო; ფრიად საჭიროა, რომ ჩვენს მაზრაში ექიმი დაინიშოს; ექიმს გარდა ძალიან გვესაჭიროება ნასწავლი ბებია-ქალიცა.

⁂ იქიდგანვე გვწერენ: ამ თთვის დამდეგს საშინლად აირია ამინდი: დაიწყო ჭექა-ქუხილი და ძალიან შეგვაშინა; გვეგონა, რომ სეტყვას ვერ ავცდებითო. მართლაც შევიტყეთ, რომ სოფელი ახალშენი საშინლად დაუსეტყვავს. მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ქარი არა ჰქონდა, თორემ სხვა ახლო-მახლო სოფლებიც დაისეტყვებოდაო.

⁂ ამ აპრილის ცხრამეტს სოფ. წიფაში, რკინის გზის სადგურის სიახლოვეს, მუშა თათარს ნალმის ქვა მოხვდა თავში. საწყალი სიმწარით დედა-მიწაზე წაიქცა და სისხლი სდიოდა. ექიმი იმ წუთაშივე დაიბარეს სურამიდგან, მაგრამ მგონი რომ ეღარ გადუსწრობდა ცოცხალსა.

ამავე დღეს სოფ. აძეისში, გობის სიახლოვეს, უბედურება მოშხდარა. საწყალი გლეხი სოსე კაპანაძე მოუკლავს ამ საწყლისავე სოფლის გლეხსა, რომლის გვარიც ვერ შევიტყეთ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ გორიდგან გვწერენ, რომ თუმცა აქ წესად არის დადებული, რაც ქალაქში ფიცარი და საშენებელი ხე შემოვა, 12 საათამდე დურგლებმა არ უნდა იყიდონ, მაგრამ ამ წესს ყურადღებას არავინ აქცევს: ფიცრებს დილითვე ყიდულობენ დურგლები და ამ საჭირო მასალას ძრიელ აძვირებენ მცხოვრებთათვისაო.

⁂ სურამიდამ გვწერენ: სოფელს გომში ამ ერთი-ორის თთვის წინად სამ-ფეხა კვიცი მოუგია ცხენსა. ჩვენ ეს არა გვჯეროდა, მაგრამ, როგორც თვალით მნახველებმა გვიამბეს, ეს უცნაური ამბავი მართალი ყოფილა. ეს სამ-ფეხა კვიცი ამ წინაზედ ამაღლებას, სურამის სიახლოვეს, ჰყოლიათ და როგორც სთქვეს, შვიდი თუმანი მეტი მოუგროვებია პატრონსა იმათგან, ვისაც მახინჯის კვიცის ნახვა მოუნდომებიათ.

სია შემწირველთა

წიფასა და ფონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლ-შვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ბედოშვილისაგან | 1 | „ |
| ბულიონისაგან | 1 | „ |
| მის მეუღლისაგან | 2 | „ |
| ვარდენ გაბრიელოვისაგან | 3 | „ |
| გ. კიზირიასაგან | 1 | „ |
| პ. კიზირიასაგან | 1 | „ |
| კ. ი. გუგუშვილისაგან | 1 | „ |
| კ. იდანაიასაგან | 1 | „ |
| №—საგან | „ | 40 |
| სულ | 11 | 40 |

სულ წინად შემოსულით 130 მ.—40

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბახტრიონი** (თიანეთის მაზრა). სოფელი ბახტრიონი, მაისის 9-ს, თავის მცირე მცხოვრებლებით დიდსი შექმნა მღვდელ-მთავრის წირვისა. ამ სოფელში არა თუ უწირნია რომელსამე მღვდელ-მთავარს ჩვენს დროში, გავლითაც არ გაუვლია გზად.

მიზეზი წირვისა იყო ბ-ნი მ. კობიაშვილი, რომელსაც კარგა დიდის ხნის

---

ყოფილიყო და ედიშერის სიტყვები იმასაც ეკლად დასობოდა გულზე. ეს იორამი კანვოინში ნამყოფი კარნეტი იყო. პეტერბურგში ხუთი წელი გაეტარებინა და თავი განათლებულებში მოჰქონდა.

—ააა!!.. იორამ! შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, მაგას ედიშერს ვერავინ ჰკადრებდა იმ ლამეს,—ამპარტავნად უთხრა ერთმა ახალგაზდა იმერელმა, რომელიც განათლებულს „ბარიშნას" კავალერობდა. ის გიმნაზიაში ედიშერთან ერთად ყოფილიყო და მეხუთე კლასიდან დაშორებოდენ ერთმანეთს. იმერელს ხუთის კლასის მეტი ვეღარ გაეთავებინა.

—უზრდელად ნუ მოიქცევა, თორემ არც მის განათლებას მიხედვენ და არც მის გვარიშვილობას. კაცი რამდენათაც განათლებულია და ბევრი უსწავლია, იმდენად უფრო ზრდილობიანი და მორიდებული უნდა იყოს. იმას რომ უნივერსიტეტში ესწავლოს, სხვას რა მერე?.. მაგის გულისთვის თავს არავინ გაალანძღვინებს. ნასწავლი და უსწავლელი ყველა თავისათვის არის. მაშ, მე ის სწავლას არ გამიყოფს—უპასუხა იორამმა.—ბიჭო, მოიტანე ქვიშნის სიროპი!—დაუძახა ლაქიას.

ლაქია გავარდა სიროპზე.

—რაც ედიშერმა იმ ლამეს ილაპარაკა, სულ მართალი იყო,—განაგრძო ახალგაზდა იმერელმა. ვინც კენჭს იტარებს, ყველას თავის ანგარიშები აქვს. მაღ სულ ჯამაგირებზე და შემოსავლიან ადგილებზე აკლავენ თავს. ტყუილად ნურავინ გვატყუებს, რომ ქვეყნის სასარგებლო საქმეს ვაკეთებო. ეგ სულ თვალების აბმა და თავის შეხვევაა, მეტი არაფერი.

— რა მაგ სიტყვის პასუხია,—თქვა კოფ-თავსაკრიანმა. ნეტაი ვიცნობდე, რომელია ის ედიშერი? ვარდენ ვაჩეშვილის ქალს რომ ბანკის კრებებზე არ ასვენებდა, ის ხომ არ არის?..

— დიაღ, დიაღ, ის არის! ჰა, ჰა, ჰა, ჰა!!.—კარგად შეგინიშნავს!—გადიხარხარა განათლებულმა „ბარიშნამ".

კოფ-თავსაკრიანმა გაღიმებით განაგრძო: მე რომ იმათ ქცევას და ლაპარაკს ვუყურე, კარგი გაცნობილნი უნდა იყონ ერთმანეთისა.

— ჰო, თქვი, ქალო!.. შენ ბევრს რასმე შეიტყობდი იმათზე,—წააქეზა „ბარიშნამ".

— არაფერი, რა უნდა შემეტყო?—განაზებით თქვა კოფ-თავსაკრიანმა.

—სწორედ რაცლა იცის იმ წყეულმა და არ ამბობს, თქვი ნუ მალავ—ჩააცივდა ბარიშნა.

— დასწყევლა ღმერთმა შენი ეშმაკი; რას გადამეკიდე, ქალო?! არ ვიტყვი, რა გინდა?—ამისთანა პასუხმა ყველას ყურადღება აღძრა. ყველანი ერთ-ხმად ჩააცივდენ კოფ-თავსაკრიანს: „თქვი და თქვიო!"

იმანაც ამოახველა და ნაზად დაიწყო: მე რომ იმათ ქცევას იმ დღეს ბანკის კრებაზე ვუყურე, არ ვიცი, იქიდან, მგონია, კარგი არა გამოვიდესრა! დედა!.. რამდენს ლაპარაკობდენ!.. რომ აღარ გაათავეს!.. ლაპარაკობდენ, ლაპარაკობდენ და ლაპარაკობდენ!.. მთელი სამი, ოთხი საათი ყბა არ გაუჩერებიათ! არა გეტკინოს-რა, იმათ კრების ჯავრი არა ჰქონიათ. ამბობენ, სიტყვაც მიუციათ ერთმანეთისათვისაო. მე ასე გავიგონე, ბარე ორჯელ-სამჯერ ბულვარშიაც უნახავთ ისინი შუაღამისას, მარტოდ-მარტო!..

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!!... გადიკისკისა „ბარიშნამ". მე ვიცი, ქალო, შენ მეტიც გეცოდინება; მაგრამ არ ამხელ.

— ბეჩავ, მეტი რაღა იქნება. ახლა მართლა სულ გამოაშკარავება ხომ არ ვარგა.

— ნუ, მალავ, თქვი.

— ქალო, რა დაგემართა, რაღა ჩემზე მოიცალე. მე არაფერს არ ვმალავ. თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს.

— ჰო!.. თავს რად იკატუნებ. თუ ქალი ვარ, გაგაცხადებ. შენ არ მითხარი, ჩემი თვალით ვნახეო, რომ ბულვარში ერთმანეთს ეხვეოდენ და ჰკოცნიდენო!.. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!!..

— უი, კარგია, თავი დამანებე, მამა ნუ მოგიკვდება. მე მაგას როგორ ვიტყოდი? შენ გენაცვალოს ჩემი თავი, სხვაგან არსად წამოგცდეს, თორემ მაგრე-კი არას იტყვიან. ეს სიტყვები ისეთი ჰანგით წარმოსთქვა კოფ-თავსაკრიანმა, რომ იქ მაყურებელნი ყველანი დარწმუნდენ.

ზოგმა უნებურად ლოყაზე შემოიკრა ხელი, ზოგმა კაბები გაისწორა. ყველა განაცვიფრა ამ ამბავმა და ერთმანეთს გადახედეს.

— ძალიან კარგი ახალგაზდაა, ედიშერი,—განაგრძო განათლებულმა ბარიშნამ; მაგრამ ეგ-კი ვერაფერი შეილი ამბავია, თუ ახლავე დაიწყო მაგისთანები. ჯერ სწავლაშია, რა დროს მისი ცოლის თხოვაა?..

— ნინო კარგი ლამაზი ქალია,—ეშმაკურად წამოიწყო კოფ-თავსაკრიანმა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!! — გადიკისკისა ბარიშნამ. ის თუ ლამაზია, ჩვენი სანდომისაც ლამაზი ყოფილა, კვატუშს რომ ცხვირი მიუგავს.

— ნუ იცი, აგრე ჩაქოლვა, მამა ნუ მოგიკვდება,—ვითამც ეწინაამდეგება კოფ-თავსაკრიანი. რითი დაიწუნებს კაცი?—ტანადი კარგია, ცოცხალი თვალები აქვს, მშვენიერი თმა. ერთი ნაკლულევანება სჭირს: მეტად თამამია საზოგადოებაში, თორემ სხვა რა უშავს?—მაგრამ ჯერ ახალგაზდაა, კიდევ ბევრს შეიძენს, დაბრძენდება.

— ვინ არის ლამაზი, ვინ?—ჰა, ჰა, ჰა!!—რა აქვს ლამაზი ნინოს? ცხვირი გაბუშტული, თვალები გადმოკარკლული, შუბლი დაბალი. ნეგრიტიანკაა, ნეგრიტიანკა!..

ამისთანა ბაასმა დიდი დავი დარაბა გამოიწვია ქალებსა და კავალერებს შორის. ერთი მხარე ნინოს იცავდა, მეორე მისი წინაამდეგი იყო, მაგრამ საწყალი ნინო ქალების ყბაში ისე გაითათხა, რომ უცნობი რო ვინმე ყოფილიყო, უნახავად შესძაგდებოდა.

— საშინელები არიან ეს ქალები, —თქვა ხუმრობით კარნეტმა.—ჩემი მტერი ჩავარდა მაგათ ყბაში! დამტკიცებულია, ქალს ქალი არ მოსწონს, ნამეტურ ლამაზიც თუ არის. ნინო რომ შნოიანი და ლაზათიანია, ამის უარს ვინ იტყვის?..

— თქვენც რომ სილამაზეზე ლაპარაკობდეთ, სასაცილოა! ჯოხს რომ იუბკა ჩააცვას კაცმა და გვერდით მოგიყენოსთ, ხელსა სთხოვთ პოდრუჩკით; კომპლიმენტების ლაპარაკს დაუწყებთ,—უთხრა იორამს ბარიშნამ.

ყველას სიცილი შესკდა.

დაღამდა. კარნეტმა ლაქია გაისტუმრა. ქალებმა აიჩქარეს შინ დაბრუნება. ფერმასთან იმათ უცდიდა ფაეტონები, ჩასხდენ და წამოიხინდენ.

გ. წერეთელი

(დასასრული 1-ის ნაწილისა)

წინად დედა გარდაცვლილა და შემდეგ მამა გარდაეცვალა. ბ-ნ კობიაშვილს შეეძლო, რომ ეწირვინებინა ყოვლად-სამღვდელოსათვის ადგილობრივ თელავშიაც, მაგრამ თავის მამულში ეთხოვა წირვა უფრო მისთვის, რომ მთის ხალხს მოესმინა.

რვა მაისს სადილის შემდეგ გაბძანდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონ ეპისკოპოსი ალავერდისა თავის ამალით თელავიდამ. თან ახლდა სხვათა შორის თელავის სობოროს დეკანოზი ი. ხ. სადამოს ექვს საათზედ ყოვლად სამღვდელო მობძანდა სოფელს ახმეტაში, სადაც მასპინძელსა აქვს სახლები. მშვენიერი მდებარეობა მამულისა, რომელიც ალაზნის პირას არის, აკვირვებდა როგორც ყოვლად სამღვდელოს, ეგრეთვე სხვათაც, ვისაც-კი არ ენახა ეს ადგილი. 9 მაისს, დილის ცხრა საათზედ, ყველანი გაემზადნენ წირვისათვის, ზოგნი წავიდნენ წინ და ზოგნი ახლდნენ თან ყოვლად სამღვდელოს. იყო ათის ნახევარი, როდესაც მობძანდა ბესარიონი ბახტრიონის ეკკლესიაში. რაც შესაძლოდ იყო და შეეფერებოდა ამ პატარა სოფელსა, ხალხა მოჰფინდა წირვის მოსასმენად და როგორც ცხადად სჩანდა, ძალიან აკვირვებდა უჩვეულო წირვა ხალხს და ნამეტნავად მონათლულს ქისტებს.

ბ-ნს კობიაშვილს ჰყვანდა მოწვეული კეთილშობილნი, თიანეთის მაზრის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი გუგუშვილი, პანკისის ხეობიდგან ქისტნი, ალვანიდგან თუშნი და ახმეტიდგან გლეხნი. როდესაც წირვა გამოვიდა და პანაშვიდი გარდაიხადეს, ყველა მუფთმა ეკკლესიაში მიიღო მღვდელ-მთავრისაგან კურთხევა და გამომგზავრდნენ ისევ ახმეტაში. ბესარიონ ეპისკოპოსი ბრძანდებოდა ცხენით და რადგან ბახტრიონსა და ახმეტას შუა ჩამოდის ალაზანი და ეს მდინარე ამ დროს დიდიც იყო, ამისათვის ინება ურემზედ დაბძანება; თან სამღვდელონიც ერთად ახლდნენ. გამოსვლის დროს წყალში აქედ-იქიდან მოუდგნენ ქისტნი და თუშნი და თითქმის ცამცამ ხელით გამოიტანეს ურემი. აქ ნაპირას დახვდა თავისა ეტლი. ახმეტაში ეპისკოპოსს დახვდნენ კეთილ შობილნი და მიიღეს მისი ლოცვა-კურთხევა.

სადილი იყო გამართული გარედ ფანჩატურში, სადაც იდგა გრძელი ტაბლაკი. სადილი დიდ-ხანს არ გაგრძელდა, რადგან ყოვლად სამღვდელო ეშურებოდა დაბრუნებას თელავში.

მასპინძელი აკურთხა ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა და გამომგზავრა. გამოაცილეს თითქმის ათს ვერსტამდინ ჩოლაყაშვილმა, გუგუშვილმა, მონათლულ და მოუნათლავ ქისტებმა, თუშებმა და ქართველებმა, მაგრამ უფრო მაკვირვებდა თავაზით ქცევა მოუნათლავის ქისტებისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენადაც მალ-მალ მოისმენს ჩვენი ხალხი მღვდელ-მთავრის წირვას, იმდენად უფრო ამაღლდება მათი ზნეობა, ხასიათი და ქცევა.

ერთი დამსწრეთაგანი

**ქუთაისი**, 20 მაისს. თოთხმეტს ამ თვეს ქუთაისის ებრაელებმა დიდის ამბით და დღესასწაულით აკურთხეს ახალი ჩინებულად ქვით ნაგები თორა (სინაგოგა), რომელიც დაუჯდა ორმოც ათასს მანეთამდე აქაურ ებრაელ საზოგადოებას და რომელსაც აშენებდნენ თითქმის ათის წლის განმავლობაში. ამ იშვიათის დღესასწაულის გამო, რომელსაც დაესწრო ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა მრავალი წარჩინებული კაცი, სინაგოგას ეზოში გამართული იყო საგრილობელი ფარდული, ყვავილებით მშვენივრად მორთული. ამ ფარდულში მიწვეულ იქმნენ ცერემონიის შემდეგ პატივცემულნი სტუმარნი სასაუზმოდ. ცერემონია გაგრძელდა დილის რვა საათიდამ პირველ საათამდე. როცა გაათავეს კურთხევა, პატივცემულმა რაბინმა ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა ქართულად. რაბინმა სთქვა, რომ ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ და ამიტომ, სანამ ცოცხალ-ვართ, გვამართებს ერთობა, ძმური სიყვარული და ერთმანეთის პატივის-ცემა. ამ სიტყვამ სასიამოვნოდ იმოქმედა საზოგადოებაზე. საუზმის დროს პირველად ბ-ნ ვიცე-გუბერნატორმა,—გუბერნატორი არ დაესწრო, რადგანაც ამ დროს არ იყო სამსახურის გამო ქუთაისს,—მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა და შემდეგ ბ-ნ ქალაქის თავმა რაბინის სადღეგრძელო დალია. მუსიკა უკრავდა საღამომდე და, როცა წაბრძანდნენ წარჩინებულნი სტუმარნი, ყველას შეეძლო მისულიყო სუფრასთან და ესაუზმა. ვისურვებთ, რომ ჩვენებურმა ქართველმა ებრაელობამ არ დაივიწყოს თავის რაბინის სიტყვა და ერთობითა და სიყვარულით ქვეოდეს ცხოვრების მძიმე უღელს.

ქუთათური ებრაელი
შაფათა რიკიხაშვილი

# რუსეთი

— დიდი ხანია, რაც მთავრობა იძულებულია რამე საშუალებით გააძლიეროს სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი, რომ მით დაჰფაროს ყოველივე სახელმწიფო ხარჯი. ამისათვის წლის დამდეგს, რაკი ახალი ფინანსთა მინისტრი დანიშნა, სხვა-და-სხვა გვარი ნივთიერების ბაჟის მომატება დაიწყო; მოუმატა აგრეთვე ღერბის ბაჟსაც. ახლა მოუნდომებიათ შეამცირონ სახელმწიფო ხაზინის გასავალიც. მხოლოდ დიდად სამწუხაროა, რომ ხარჯის შემოკლების გულისათვის, როგორც ხმაა დავარდნილი, უნდათ გააუქმონ მოსკოვის იმპერატორის უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი. რუსეთში სულ ორი უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელია—ერთი პეტერბურგში და მეორე მოსკოვში. თუ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებელი მართლა დაიკეტა, რასაკვირველია, ამ გვარის ხარჯის შემოკლებით სარგებლობა-კი არა, დიდი ზარალი გვექნება. პროფესორი ჟლიმანი ამბობს ამ საგანზე: იმედი გვქონდა, რომ ფინანსთა სამინისტრო რამდენისამე ათასის თუმნის გულისათვის მილიონებს არ დააკარგვინებს ჩვენს სამშობლოსაო.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია რუსეთის ღვინის კეთებას. სხვათა შორის ტეხნოლოგ არხიპოვისათვის მიუნდვია შეისწავლოს ღვინის კეთება და წარმოადგინოს თავისი აზრი, თუ რა საშუალებით შეიძლება წარმატებაში შევიდეს რუსეთის ღვინის კეთების საქმე. დიდად მავნებელია ჩვენის ღვინის კეთებისათვის ყალბის ღვინის მზადებაო, ამბობს ბ-ნი არხიპოვი თავის მოხსენებაში. ყალბი ღვინოები ძრიელ უშლის კავკასიის, ბესარაბიის, ყირიმის და დონის ღვინოებით ვაჭრობას. ამის გამო ბ-ნი არხიპოვი ამბობს: 1) ღვინო მარტო დაწურულ ყურძნის წვენს უნდა დავარქვათო; 2) აღკრძალული უნდა იქმნას გარევა ღვინოში სახამებლის შაქრისა, გლიცერინისა, სალიცილის სიმჟავისა, შაბისა და სხვა-და-სხვა ნაირის სიმჟავესიო; 3) აღკრძალული უნდა იქმნას აგრეთვე ღვინის შეღებვა, წყლის მომატება და რამე ნივთიერების მომატება სურნელების მისაცემად; 4) ღვინის „ეტიკეტზე" გამოცხადებული უნდა იყოს, თუ სად არის ესადა-ეს ღვინო გაკეთებული; 5) ხელთ-ქმნილის ღვინოების მომზადება მხოლოდ მთავრობის ზედა-მხედველობით უნდა მოხდეს; 6) სადაც ხელთ-ქმნილი ღვინოები კეთდება, იქავე გაყიდვა არ შეიძლება; 7) ხელთ-ქმნილ ღვინოებს იმ გვარი სახელი უნდა ერქვას, რომელიც გააგებინებდეს კაცს, თუ რა ნივთიერებიდამ არის ნაკეთები და 8) მთავრობამ უნდა თვალყური ადევნოს როგორც რუსეთში მომზადებულ ღვინოებს, აგრეთვე საზღვარგარეთიდამ შემოტანილსაო.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ამ რამდენისამე ხნის წინად საზღვარ-გარეთის გაზეთები ამბობდნენ, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას განზრახვა აქვს, სამუდამოდ დაარსოს ზოგიერთ დიდ სახელმწიფოებში, რუსეთის გარდა, რასაკვირველია, ბოლგარიის საელჩონი და საააგენტონი. თუმცა ევროპის დიდ სახელმწიფოებმა ამ განზრახვას ბოლგარიის მთავრობისას კარგის თვალით არ შეჰხედეს, მაინც, გაზ. „Berliner Tageblatt"-ის სიტყვით, სარეგენტო მთავრობას თავისი არ დაუშლია და განზრახვა აქვს თავისი სურვილი ევროპის სატახტო ქალაქებში ბოლგარიის სარეგენტოთა დაარსებისა აღსრულებაში მოიყვანოს. ბერლინში სადიპლომატო აგენტად დანიშნული იქმნება დ—რი სტრანსკი, ლონდონში—კალჩევი, ვენაში სტოილოვივე დარჩება და პარიჟში-კი გრეკოვი გაიგზავნებაო.

— ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის ჯერ კიდევ ვერ ამოურჩევიათ კანდიდატი. სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას გამოუცხადებია, რომ ერთად-ერთი კანდიდატი ბოლგარიის სამთავრო ტახტისა პრინცი ალექსანდრე ბატტენბერგია და სხვა არავინაო.

**ინგლისი.** ინგლისში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ირლანდიის საქმე; ჯერ ირლანდიაში ძალ-მომრეობითის კანონების შემოღების საქმეც-კი არ დაუბოლოვებიათ. გლადსტონს ბრალსა სდებენ, რომ ის გვიშლის ამ კანონ-პროექტის მიღებასაო, თუმცა თითონვე გამოაცხადა, რომ თუ ძალ-მომრეობითი კანონები ირლანდიაში დროებით იქმნება მიღებული, ხელს არ შევუშლიო. მაგალითებრ, ამას წინად ლონდონში სიტის ვაჭრებს ბანკეტი გაუმართავთ და ამ ბანკეტზედ მარკიზს სალისბერს გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს და გაუკიცხავს გლადსტონის პოლიტიკა. სალისბერის სიტყვით, ერთად-ერთი დამნაშავე პარლამენტის საქმეების გაჭიანურებისა და გაძნელებისა გლადსტონია და სხვა არავინაო. „გლადსტონიო,—უთქვამს სხვათა შორის სალისბერს,—დიდი ძალაა და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ როცა ის წინააღმდეგია, ასე ძნელდება ახალის კანონების მიღება ინგლისში. რადგან გლადსტონს დევის ძალოვანება აქვს, მე ვთხოვ, ახსოვდეს, რომ თუ მთელი პარლამენტი თავის მოღვაწეობას ერთის კანონ-პროექტის განხილვას მოანდომებს (?), რაც ადვილად მოსალოდნელია, თუ გლადსტონი წინააღმდეგობას თავს არ დაანებებს, ინგლისელები, რომელნიც ყველაფერში გამორჩომას უყურებენ და უბრალოდ დროს დაკარგვა არ უყვართ, იმ გზას დაადგებიან, რომ სამინისტროში ცოცხალის ადამიანების ნაცვლად „მაშინებს" დასდგამენ: ელექტრონის სამინისტროს ამოირჩევენ და ისეთს თავ-მჯდომარეს მიუჩენენ, რომელსაც თავისი არაფერი ექნება-რა და როგორც მოჰმართავენ, საათივით, იმ გზაზედ ივლის და იმოქმედებსო. მოაზრე და ჭკვიან კაცთა ადგილს ტიკინები დაიჭერენ, რადგან ეს ჭკვიანი კაცები ვერაფერს არიგებენო".

**ავსტრი-ვენგრია.** დეპეშებიდგან უკვე ეცოდინება მკითხველს, რომ რუსეთის მთავრობამ აღკრძალა: გარეშე სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ რუსეთში დასავლეთით ნება არა აქვთ უძრავი ქონება შეიძინონო. ამ კანონის გამო პარლამენტის პოლშელ წევრების საზოგადოება დიდად აღელვებულა. ამბობენ, რომ ამ საზოგადოებამ დიდ-ძალი დეპეშები მიიღო გალიციიდგანაო. გალიციის პოლიაკები დიდად აღელვებულან ამ კანონის გამო, რადგან ამ კანონით უცხოელნი, რომელნიც ნათესავებად მოუხვდებით ბევრს რუსეთში მყოფ უცხოელთ მამულთ-მეპატრონენთ, ვეღარ დაეპატრონებიან მამულებს მემკვიდრეობით, თუ რუსეთის ქვეშევრდომობა არ მიიღესო. პოლშელ დეპუტატებს კერძოდ თათბირი ჰქონიათ მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ ტააფესთან და უკითხავთ რჩევა, მართლაც ამ საგნის შესახებ რამე სათხოვარით ავსტრიის გარეშე საქმეთა სამინისტროს, თუ არაო. ძნელად თუ კალნოკი იკისროს და შეიწუხოს თავი თხოვნა და რუსეთის შინაურს საქმეებში გარიოსო, ამბობენ რუსეთის გაზეთები.

## ანგარიში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის და პანსიონის მდგომარეობისა 1886 წლის აპრილიდგან 1887 წლის 1-ლ მაისამდის.

1886 წლის აპრილის გასულს, როგორც შარშანდელს ანგარიშში იყო მოხსენებული, სკოლაში ირიცხებოდა 272 მოსწავლე. ამათგან:

ა. სარწმუნოებით:

| | |
|---|---|
| 1) მართლ-მადიდებელი | 266 |
| 2) კათოლიკე | 2 |
| 3) მაჰმადიანი | 2 |
| 4) სომხის სარწმუნოებისა | 2 |

ბ. გვარ-ტომობით:

| | |
|---|---|
| 1) ქართველი | 270 |
| 2) სომეხი | 2 |

272 მოსწავლეთაგან პანსიონში სცხოვრებდა 63: 21 საზოგადოების სრულ ხარჯზედ, 27 (რომელთაც შემოჰქონდათ ათ-ათი თუმანი) საზოგადოების ნახევარ ხარჯზე და 15 თავიანთ ხარჯზე; ამ უკანასკნელთ შემოჰქონდათ ოც-ოცი თუმანი.

ხსენებული რიცხვი მოსწავლეთა განაწილებული იყო მოსამზადებელის კლასის განყოფილებებში და პროგიმნაზიის კლასებში ამ რიგად:

| | |
|---|---|
| I განყოფილებაში სწავლობენ | 38 |
| II-ში | 45 |
| III-ში | 42 |
| IV-ში | 55 |
| I კლასში | 41 |
| II-ში | 29 |
| III-ში | 12 |
| IV-ში | 10 |

1886 წლის მაისის და ივნისის ეგზამენების შედეგი.

| | გადავიდა | დარჩა |
|---|---|---|
| პირველ განყოფილებიდგან გადავიდა მეორეში | 29 | 9 |
| II-დგან | 32 | 13 |
| III-დგან | 29 | 13 |
| IV-დგან | 33 | 22 |
| I კლასიდგან | 21 | 20 |
| II-დგან | 16 | 13 |
| III-დგან | 7 | 5 |
| IV-დგან | 7 | 3 |

სულ შემდეგ კლასებში გადავიდა 174, ანუ 64%.

63 პანსიონერთაგან წარმატებით სწავლობდა ორმოც-და-ცხრა (49), ე. ი. 77,7%. შემდეგ წლიურის ეგზამენებისა საზოგადოების ხარჯი ჩამოერთვა ცხრა (9) პანსიონერს: ოთხს მათგანს, რომელნიც გადვიდნენ პირველს კლასში, ჩამოერთვა საზოგადოების ხარჯი თანახმად მიღებულის წესისა, რომელიც თხოულობს, რომ ეს ხარჯი ეძლეოდეს ყმაწვილებს მხოლოდ მოსამზადებელს კლასის კურსის დასრულებამდის, და ხუთს იმ საფუძველით, რომ სუსტად სწავლობდნენ და შემდეგ კლასში ვერ გადავიდნენ. ამათ მაგიერ სასწავლებლო წლის დამდეგს მიღებულ იქმნა ცხრა ახალი პანსიონერი, ყველანი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილები: ერთი (1) ტფილისის და დუშეთის მაზრიდგან, სამი (3) გორის მაზრიდგან, სამი (3) სიღნაღის მაზრიდგან და ორი (2) თელავის მაზრიდგან. ერთი ყმაწვილი გორის მაზრიდგან მიღებულთაგანი (ქლივიძე) ავადმყოფობისა გამო სუსტი აღმოჩნდა და კომიტეტმა შესაძლოდ დაინახა, ედროვებინა მისთვის სკოლაში გამოცხადება ერთს წელიწადს.

$188^6/_7$ წელიწადში მიღებულ იქმნა სკოლაში სულ 63 მოსწავლე: პირველს განყოფილებაში 35, მეორეში 13, მესამეში 4 და მეოთხეში 7; პირველ კლასში 1 და მეხუთეში 3. ამ ჟამად სასწავლებელში 268 მოსწავლეა: ქართველი 266, სომეხი 2; მართლ-მადიდებელი 259, კათოლიკენი 5, სომხის სარწმუნოებისა 2 და მაჰმადიანი 2. I განყოფილებაში—38, II-ში—47, III-ში—43 და IV-ში—46; I კლასში—40, II-ში—25, III-ში—16, IV-ში—8 და V-ში—5.

გავიდა სკოლიდგან საანგარიშო წელიწადში სამოც-და-შვიდი (67) მოსწავლე: 1) ერთი (1) ამათგანი ცუდის ყოფა-ქცევისათვის დათხოვნილ იქმნა; 2) რვა (8) დათხოვნილ იქმნა მისთვის, რომ მეორე წელიწადს დარჩნენ ერთსა და იმავე კლასში, ძლიერ სუსტად სწავლობდნენ და გასწორების იმედს არ იძლეოდნენ, და სხვები (58) თავის ნებით გავიდნენ სკოლიდგან. ამათგან თერთმეტი (11) შევიდა სახელმწიფო პროგიმნაზიებში და გიმნაზიებში: ა) ხუთი (5) მოსამზადებელ კლასში, სამი (3) პირველ კლასში, ორი (2) მეორეში და ერთი (1) მესამეში; სამი (3) მიებარა საქალაქო სასწავლებელში, ორი მეხუთე განყოფილებაში და ერთი მეექვსეში; ორი ბაღოსნობის სასწავლებელში; ორი (2) ტელეგრაფის სასწავლებელში; ერთი (1) გომბორის სასწავლებელში; ხუთი (5) სამსახურში შევიდა და რვა (8) ემზადება სხვა-და-სხვა სასწავლებელში შესასვლელად.

სხვებზედ არა გვაქვს ცნობები. ბევრი იმათგანი, ვინც თავის ნებით გავიდა სკოლიდგან, იძულებული იყო სწავლისათვის თავი დაენებებინა იმიტომ, რომ ვერ შესძლო სიღარიბისა გამო ტფილისში ცხოვრება და სწავლის გაგრძობა ბოლომდის. თუმცა გამგე კომიტეტი ფულით შემწეობას აძლევდა ღარიბ მოსწავლეთა, მაგრამ იმდენი საშუალება მაინც არა ჰქონდა, რომ ყველანი დაეკმაყოფილებინა, და ფუ-

ლით შემწეობა ეძლეოდა მხოლოდ იმასთანა ყმაწვილებს, რომელნიც მეტად ღარიბნი იყვნენ და ამასთანავე კარგადაც სწავლობდნენ.

## გასართობი

**მოხერხებული ქურდები.** ლონდონის ერთს ცნობილს სასტუმროში ჩამომხდარა ხანში შესული კაცი, ავადმყოფის სახისა. ამ კაცს სასტუმროს მესამესა და მეორე სართულში ორი ოთახი დაუჭერია და უთქვამს, რომ ამერიკელი ვარო. ამ ამერიკელს ეტყობოდა თურმე, რომ შეძლებული კაცი იყო, რადგან სასტუმროს პატრონს კარგა-ძალი ქაღალდის ფული მიაბარა შესანახავად. სასტუმროს ქირას ამერიკელი დროზედ იხდიდა თურმე და ამასთან სასტუმროს პატრონთან მიბარებულს ფულს არ ეხებოდა. რამდენისამე ხნის შემდეგ სასტუმროს პატრონმა გაიგო, რომ ეს ამერიკელი წევრია ჩიკაგოს ერთის რკინის გზის საზოგადოებისაო. ამავე სასტუმროში ჩამოხდა ამ ამერიკელის მეგობარი და ჩამოხდა მეორე ნომერში, რომელიც ამერიკელის ნომრის ქვეშ იყო სწორედ. ერთს დღეს ამ ამერიკელმა გამოუცხადა სასტუმროს პატრონს, რომ ბრილიანტის ნივთები მინდა ვიყიდო ჩემის ქალისათვის, რომელიც ამ დღეებში აპირებს გათხოვებასა, და ამიტომ მცოდნე კაცი მიპოვნეთ ბრილიანტებისაო. სასტუმროს პატრონს ნაცნობი ოქრომჭედელი ჰყვანდა თურმე და იფიქრა, იმასაც სიკეთეს ვუზამ, მეც გამოვრჩები რასმესაო და დაჰპირდა ამერიკელს ბრილიანტების მცოდნე კაცის შოვნას. სასტუმროს პატრონმა ოქრომჭედელი რამდენჯერმე მოიყვანა, მაგრამ უეცრად ამერიკელი ავად გახდა და ამიტომ ველარ შეიძლო ბრილიანტების გასინჯვა; პირ-იქით, ავადმყოფობაში თითქო სრულიად დაავიწყდა კიდეც ბრილიანტების გასინჯვაო. ბოლოს სასტუმროს პატრონმა იფიქრა, მოვაგონებო. ამერიკელმა მადლობა გადუხადა და სთხოვა, რომ ბრილიანტები და ძვირფასი თვლები აქ მოატანინეთ ჩემსას და აქ გავსინჯავ, გარედ გამოსვლა არ შემიძლიანო. მოიტანეს ბრილიანტები. ამერიკელი ტახტზედ იყო წამოწოლილი და სუფრა გადაფენილი სტოლი ედგა წინ. ამ სტოლზედ გაშალეს ბრილიანტები თითქმის ათასის თუმნისა. ამერიკელმა დაუწყო სინჯვა ბრილიანტებს, მაგრამ რომ ვერ გადაეწყვიტნა, რომელი ამოვირჩიოვო, სთქვა, ჩემს მეგობარს დავუძახებო და გამოვიდა ოთახიდგან. რამდენისამე წუთის შემდეგ ამერიკელის ოთახში რალამაც რახუნი მოილო და როცა სასტუმროს პატრონი და ოქრომჭედელი სტოლთან მივიდნენ, აღარც სუფრა იყო და აღარც ბრილიანტები. მაშინვე კარებს ეცნენ, მაგრამ კარები გარედგან დაეკეტნა ვილასაც; რამდენისამე ხნის შემდეგ ამათს რახუნზედ ბიჭები მოცვივდნენ და კარები გაუღეს გარედგან მომწყვდეულთ. როცა ქვემოთი მდგმური მოიკითხეს სასტუმროს პატრონმა და ოქრომჭედელმა, აღმოჩნდა, რომ ორივენი წასულიყვნენ სასტუმროდგან. როცა სტოლი გასინჯეს, რომელიც იმას წინად ეყიდნა ამერიკელს, აღმოჩნდა თურმე, რომ სტოლი შუა-გულში ორად იწეოდა და რაც სტოლზე რამ იყო, ყველას ქვემოდ ისროდა; იატაკიც ამოჭრილი იყო; ავაზაკებს ქვემოდ ოთახში წაევლოთ ხელი ბრილიანტებისათვის და გაქცეულიყვნენ. სასტუმროს პატრონთან მიბარებული ქაღალდის ფული ყალბი აღმოჩნდა თურმე.

**

**ცურვის მასწავლებელი.** ერთს პარიჟის ცურვის სასწავლებელში, რომელშიაც ბევრი კეთილშობილთა ქალები და არტისტი-ქალები დადიოდნენ, დიდხანს ასწავლიდა ცურვას მოხუცებული მასწავლებელი, გვარად დიუმონი; დიუმონს ხელ-ქვეითიცა ჰყავდა; მაგრამ რადგან წლეულს სასწავლებელში მეტად ბევრი ქალები დადიოდნენ, დიუმონს მეორე ხელ-ქვეითიც დასჭირდა. ერთი ყმაწვილი-კაცი ძალიან უქეს თურმე და დიუმონმაც დაიჭირა ხელ-ქვეითად. ახალგაზდა მასწავლებელი ცურვისა ძალიან მუყაითი და ბეჯითი იყო თავის საქმეზედ და ყველა მოსწავლე ქალებს გულ-ცივად ექცეოდა; ერთხელ, როცა ერთს ქალს ცურვას ასწავლიდა ახალგაზდა მასწავლებელი, წვერი ჩამოვარდა თურმე და წყალში ჩავარდა. მეორე ახალგაზდა ბარონესამ შეჰკივლა უეცრად ამ დროს:

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ბარონი გასტონ ლეკლერკია! დიდი უპატიოსნებაა ასე ქურდულად შემოსვლა აქა!

ბარონს უჩივლეს სასამართლოში; სასამართლოში დამნაშავემ გამოაცხადა, რომ მინდოდა ერთის გრაფის ქალზე ჯვარი დამეწერა, რომელიც ამ სასწავლებელში დადის და ცურვასა სწავლობსო, და მინდოდა შემეტყო მართლა ისეთი მშვენიერი ტანი აქვს, თუ ტანისამოსში სჩანს მარტო ისეთიო. სასამართლომ ორის კვირით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტა თურმე. ბარონმა სიამოვნებით მიიღო თურმე სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოაცხადა, რომ ამ შემთხვევამ დამარწმუნა, თუ რა ყალბი იყო ის ქალი, რომელზედაც ჩემს მშობლებს ძალათი უნდოდათ ჯვარი გადაეწერნათ ჩემთვისაო.

**

**ამერიკის საფლავების მთხრელები.** ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში საფლავის მთხრელებსაც-კი არეულობა მოუხდენიათ. იმათ გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ ჩვენს საქმეს ხელს არ მოვკიდებთ იმ დრომდე, ვიდრე ან სამუშაო ფასს არ მოგვიმატებთ და ან მუშაობასაო (?). რადგანაც სასაფლაოს მმართველობა მესაფლავეთა სასარგებლოდ ხალხს ვერ დაჰხოცავდა და ამ გვარად ვერ მოუმატებდა სამუშაოს, განუზრახავს, თუ როგორმე ვერ დავაწყნარეთ მეამბოხენი, სამუშაო ფასი მოვუმატოთო.

# დეპეშა

21 მაისი

პეტერბურგი. უწმინდესს სინოდს ნება დაურთვია სამრევლო სკოლების ყველა სარწმუნოების მოწაფეთათვის, საეგზემენო კომისიაში შეუძლიანთ ეგზამენი დაიჭირონ და მიიღონ მოწმობა, რომლის ძალითაც შეღავათი მიეცემათ სამხედრო ბეგარის გადასახდელად. ხოლო მოწაფენი, არა მართლმადიდებელ სარწმუნოების აღმსარებელნი და აგრეთვე „რასკოლნიკები“, უნდა გამოცდილ იქმნენ ისე, როგორც მოითხოვს 1886 წლის ოქტომბრის 8—15 რიცხვებში უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილებით გამოცემული წესი.

სევასტოპოლი, 20 მაისს. დღეს ზღვაში ჩაუშვეს ჯავშნიანი ხომალდი „Синопъ“-ი.

პარიჟი. გუშინ „ოპერაში“ აფიცრებმა გამართეს ბალი. „ოპერის“ შესავალ კარებთან შეგროვდა რამდენიმე ათასი კაცი, რომელთაც ჯერ „Aux Lamoione“ იმღერეს და მერე დაიწყეს ყვირილი: სამსახურიდგან გადადგნენ, გაუმარჯოს ბულანჟეს! ჩვენ ვეცდებით, რომ ისევ ბულანჟე იყოს მინისტრად დანიშნული 200-მდე კაცი ელისეს სასახლისაკენ წავიდნენ იმ სურვილის გამოსაცხადებლად, რომ ისევ ბულანჟე დაჰნიშნეთ სამხედრო მინისტრადაო. ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა ხალხი და შუა-ღამის შემდეგ ყველა მიწყნარდა.

ლონდონი, 21 მაისს. რეიტერის სააგენტო გვაუწყებს, ინგლისელების აზრით, რუსეთი პირობით არის დავალებული, რომ გავლენა არ იქონიოს ავღანისტანში და ამიტომ ინგლისი არასოდეს არ შეუერთდება რუსეთს, რომ ავღანისტანის საქმე საერთო ძალით დამშვიდებულ და დაბოლოვებულ იქმნესო.

პარიჟი. ახალს სამხედრო მინისტრს გარდაუწყვეტნია, ყველა აფიცირები ბულანჟეს შტაბისა ჯარში გაიგზავნონო. ბულანჟეს სამხედრო კანონ პროექტები ფერრანს მოუწონია ზოგიერთების გარდა. უწესოება, რომელსაც გუშინ მოელოდნენ, არ მოხდა იმის წყალობით, რომ პოლიცია ძალიან მხნედ მოიქცა.

ხმები ისმის, რომ პარლამენტი ივლისის ნახევრამდე არ შეიკრიბება და კაბინეტი მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ბიუჯეტის ახალს პროექტს.

სიმლა. შეუტყვიათ, ვითომ რუსეთი სამხრეთისკენ, პენდისკენ, აძლევს მიმართულებას რკინის გზებს და ტელეგრაფს.

პეტერბურგის ბირჟა, 19-ს მაისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 9 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | $174^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | 1 34 | — › |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგებიანი ბილეთი . . . . . . . . | — › | — › | $265^1/_2$ |
| — მეორისა . . . . | — › | — › | 243 |
| გირავნობ. ფურცლნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | — › | — › |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

**22 დღე პარასკევი.** მოწ. ვასილისკესი. კათოლ. იულიისა, ელენესი და ემილიასი. მუსულმანთა. მე-12 დღე რამაზანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. მე-12 დღე რამაზანის მარხვისა. მე-36 ჯუმაასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—30. მთვარე 13 დღისაა.

**23 დღე შაბათი.** ღირს. მიხეილ ეპისკ. კათოლ. დეზიდერიისა და კრესცენციისა. მუსულ. მე-13 რიცხვი რამაზანის თვისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 14 დღისაა.

**24 დღე კვირა.** სულის წმ. მოსვლა. სვიმეონ მესვეტისა. სომეხ. სულის წმინდის მოსვლა. ალების ღამე ილიას მარხვისა. ფრანგ. სულის წმ. მოსვლა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11-58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—3.

**25 დღე ორშაბათი.** მესამედ პოვნა თავისა წმ. იოანე ნათლის მცემელისა. კათოლ. გრიგორი მე-VII ურბანისა და არკადიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58 ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—2.

**26 დღე სამშაბათი.** წმ. მოციქ. კარპესი. კათოლ. ფილიპესი და ალიცისა. მუსულმან. მე-16 რიცხვი რამაზანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. მე-16 დღე რამაზანის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—32, მთვარე 17 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისაწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისაწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასიის ყირიმისა და რუმელის-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილ ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ქალაქ ბათუმში

გაგზალის მახლობლად ახლად გაკეთე

მებლიროვანი ოთახები

„ვენეცია“

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიძვირე არის, მაქვს №№-ბი სუფთად მოწყობილი დღეში 50 კაპეიკიდამ 1½ მანათამდე თთვეობით 10 მანათიდამ 30 მანათამდის. საჭმელებს ვაკეთებინებ, ვინც რას ისურვებს. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ.

ოთახების პატრონი იოანე ლოლუა

(10—4)


ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | [illegible] |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 50 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი. ნ. ლომოურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მომღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . , . | › | 30 |


## გილლესა და დიტრიხის

ჟირარდოვის მანუფაქტურების უმაღლესად დამტკიცებულ სააქციონერო საზოგადოების უმთავრესს საწყობ მაღაზიაში

მიღებულია დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი

**პარუსინა და ქაჩის მატერია**

კიტელებისათვის, სხვა-და-სხვა ფერის ტილოები ყმაწვილებისა და კაცების ჟილეტკებისათვის, სუფრები, სალფეტკები, პირსახოცები. არის სუფრები 6,12, 18 და 24 კაცისათვის. წუღები ყმაწვილებისა და ქალებისათვის, წინდები კაცებისათვის თეთრისა და კრემის ფერისა.

ამას გარდა მაღაზიაში ბევრ-გვარი პარუსინებია კარვებისა და ტილოს ტომრებისათვის, მზა-მზარეული ტილოს ტომრები, პარუსინები ბრეზენტებისათვის; მზა ბრეზენტები ყოველ-გვარის სიდიდისა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებელ ვაჭრებს სურვილისამებრ ნიმუშები გაეგზავნებათ.

ტფილისში: სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა ბანკისა.

ბაქოში: ოლგის ქუჩა, სახლი ბალაბეგ ლალაევისა.

დონნერი და ლეიტცი

(5—2)


Дозв. цен. Тиф. 21 мая, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე